

შინაური საქმეები

უოველკვირული გაზეთი

№ 14.

კვირა, ივლისი 13, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კანკიკთ.

აღმსი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: დროების ცვლადობა და ადამიანის დაუდევრობა—უკიდურესისა; პროფეორ მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე—ბოსლევლისა; მოგონებანი—ქვაციხელ საბაყოელისა; ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს—ივერიელისა; მაცხოვრის ხატის წინ (ლეკსი)—ლადი გავუასი; სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი—ვ. ჩ—ძისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა; წერილი რედაქციის მიმართ—მღვდ. რ. სანებლიძისა.

უოველ კვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საებარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დროების ცვლადობა და ადამიანის დაუდევრობა.

„ისე ვიყავ მეცაო,
როგორც შენ ხარ დღესაო.
ისე გნახავ შენცაო,
როგორც მე ვარ დღესაო!“

ხალხ.

ცვლადობა და დაუნდობელი წუთი სოფელი: დღევანდელი დღე ხვალინდელს არ გაეც, ეს საათი-იმ საათს, — ეს წამი იმ წამს. — ადამიანიც ამისდა შესაუერ მუდამ იცვლება: რაც ვიყავით იგი აღარ ვართ, რაც ვართ, იგი აღარ ვიქნებით. არავინ არ იცის, ხვალინდელ დღეს რა მოაქვს, ვერავინ გახდება მისი თაყვანისმცემი, რომ დღევანდელი ბრწყინვალე მზე ხალხს ბნელ წერტილად არ გალიქცევა, დღევანდელი

ლი სალი და სიცოცხლით საგსე ადამიანი ხვალ ლოგინად არ ჩავარდება, ან უსულგულოდ არ იღება სარეცხელზე. ასე ყოფილა ყოველთვის, ასეა ახლაც და ყოველის უმიზეზოდ იქნება შემდეგაც. ასეთი ცვლადობა და სიმუხთლე წუთისოფლისა გვაძალეებს მღვიძარებას, სივრთხილეს, მზად ყოფნას ყოველი შემთხვევისათვის, როგორც უნდა იყოს იგი, ავი თუ კარგი. „იღვიძებდიო, რამეთუ არა იცით არცა დღე, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდესო“, გვაფრთხილებს მაცხოვარი.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც კაცმა იცნა ეს ქეშმარიტება. ჯერ კიდევ ფალეს ფილოსოფოსმა აღნიშნა ეს სიმუხთლე და ცვალე ბადობა წუთისოფლისა, მაგრამ კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ შეეკუა ამ ცვალე ბადობას, ვერ გამოიხატა საშუალეება, შეებრძოლოს მის უკუღმართ გავლენას. უმეტეს ხარისხით ეს შეიძლება ითქვას ჩვენ ერზე და უმეტეს ჩვენ სამღვდლოებზე, რაც ცხადად დამტკიცდა უკანასკნელ კრებაზე. გამოჩნდა, რომ სამღვდლოებას არ ქონია და არც აქვს არაფერი საშუალეება ხელი გაუწოდოს და დახმარება აღმოუჩინოს წუთისოფლის სიმუხთლის გამო დატანჯულ მოძმეს; მას, ვინც ქადაგობს მოძმისა და მოყვისს გაჭირებაში დახმარებას, არ აქვს ისეთი დაწესებულება, საიდგანაც მოსახერხებელია ასეთი დახმარების გაწევა. მერე

ქ. მარტისის ხახ. საქ. სს



რა დროს? იმ დროს, როცა მას გარშემო არსდება საერო უწყებაში სხვა და სხვა ტიპის დამხმარებელი საზოგადოება და როცა სამღვდელთაში თავი იჩინა უკიდურესმა გაქირვებამ.

უკანასკნელმა კრების მაგალითმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ დროა საღვდელთებამ გაიჩინოს, რაიმე წყარო გაქირვებულ მოძმეთავეის დასახმარებლად. ამ კრებაზე შემოსულმა სამოწყალო თხოვნებმა საქვეყნოდ ილაღადეს ასეთი წყაროს გაჩენის შესახებ. ამ კრებაზე სხვათა შორის დასწრო ერთი ყმაწვილი მღვდელი; დავლისაჲან მაღალ დაღწილი და ყოველ საშუალებას მოკლებული; ეს იყო მ. ილია ქუმბუტძე. მისმა შეხედვამ ყველას ბოლოთა და სეველით აღუგზო გული, ყველამ ჩაიხედა თავის გულში და აღმოიკითხა არა სანუგეშო წერილი: რა იქნება, მეც რომ ისე დამემართოს, რა ეშველება ჩემ წვრილ ცოლშვილს, ვიღა გამოკვებავსო. სისხლით სავსე, ახალგაზდა, მაგრამ მოძრაობას მოკლებული ადამიანი ვის არ შეეზარლება, ვის არ აღუქრავს შემწეობის სურვილს, მაგრამ რას იზამს ზღვაში გადადებული ერთი ცვარი წყალი? თითველს საშუალება არ აქვს საგრძნობელი დახმარება გაუწიოს დაჩაგრულს, ხოლო საზოგადო—არ არის. ამ უხერხულმა მდგომარეობამ ბევრს ამაოკენება გულის სიღრმე დგან საჭიროება დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისა; ბევრმა პროტესტანტმა შეიგნო დიდმნიშვნელოვნება და ღრუ აზრი ცხოველ რუსულ ანდაზისა „съ миру по шитоикъ нѣдному руботка“, და ამის მიხედვით გამოსთქვა სურვილი დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისა. მოიგონეს აგრეთვე თუ რამე გაკეთებულა ამ მხრით ახლო და შორეულ წარსულში, მოიგონეს ემერიტალური კასისის პროექტი, საურთაერთო დამხმარებელ საზოგადოების პროექტი, მოითხოვეს ამ პროექტების ხელ ახლა განხილვა და დავიანებული საქმის დაწყება. მოიგონეს აგრეთვე ის პარნი, რომელიც წინ აღუდგენ ამ სიმპატიურ დაწესებულებათა განხორციელებას, მოიგონეს ზიზღით და გამოკვეთილ შეზღაურება, რომ ასე აღ-

ვილად დასთანხმდენ უკეთურის რჩევას და უარყვეს თავის დროზე ეს პროექტები ეხლა ყველ ს მომავლისკენ ჰქონდა თვალი მიპყრობილი და ის ის იყო დაიწყეს ოცნება მომავალ ბედნიერებაზე, რომ თავჯდომარის ციება შენიშვნამ გამოარკვია იგინი და დაუბრუნა საკითხს, რომელიც თვალწინ ედვით და რომელსაც ვერ უშველიდა ჩვენი მომავალი იმედები, რადგან გაქირვება კარზე ადგა და თავისას თხოულობდა. მ. ილიას შემწეობის საკითხმა გამოარკვია კრება, შეაჩოჩიოლა, მიარყმოარყია, მაგრამ საშუალება ვერაფერი გამოაძენინა, გარდა იმისა, რომ სთხოვა თავის მოძმე იმერეთის ეპარქიის სამღვდელთაბას თითო აბაზით შემწეობა აღმოუჩინოს წელიწადში ლუკმა მოკლებულ მოძმეს, სანამ უღმობელი სენი მთლად არ დაარღვეს ცოტად კიდევ შეფაფულ სხეულს და არ გამოასაღმეს წუთისოფელს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელთაბა არ დაიშურებს ამ მცირე წვლილს. რედაქცია დიდის სიმოვნებით მიიღებს და გადასცემს დანიშნულებისამებრ ყოველ კაპიკს, რომელიც გამოგზავნილი იქნება მ. ილია ქუმბუტძის ს ხელზე.

მაგრამ ჩაიაროს უმნიშვნელოდ ამ გაკვეთილმა? არ ვიზრუნოთ მომავლისთვის? არ შევადგინოთ დამხმარებელი საზოგადოება? პასუხს ველით „შინაური საქმეების“ ფურცლებზე იმათგანაც კი, ვინც მთელი თავის არსებით წინააღმდეგენ ასეთ საზოგადოების დაარსებას წარსულში...

ბევრს იმედი აქვს თავის სიმდიდრისა და ფიზიკური ღონისა, და არავითარ დამხმარებელ საზოგადოებას არ სცნობს, მაგრამ ავიწყდება, რომ ესე ყოველი არს „სიზმარ და აჩრდილ და ცვარი განთიადისა,“ ავ წყდება ხალხის ნანახგანცდილი ქეშმარიტება, რომელმაც თავის სიმწარით ეს სიტყვები ათქმევინა:

„ისე ვიყავ მეცაო,
როგორც შენ ხარ დღესაო;
ისე განახვ შენცაო,
როგორც მე ვარ დღესაო.“

უკიდურესი.

პროფესორ მაქს მულლერის აზრი
მატერიალიზმზე.*)

(მისი წერილებიდან).

(რუსულით).

მაგრამ ამასთან არ უნდა ვფიქრობდეთ, ვითომ თითოეული „მე“ იყოს ნაწილი მყოფისა, მიტომ რომ მაშინ ეს მყოფი იქნებოდა დაყოფილი, განსახლდრული და მომაკვდავი, სრულიადი (ე. ი. ბოლოს მექონი). არამედ მთელი მყოფი ან მყოფი გვეწვევა ჩვენ, მსგავსად იმისა, როგორც მთელი სინათლე (ერთად აღებული) ანათებს თითოეულ მარცვალს, თითოეულ ვარსკვლავს და არ ეკუთვნის განსაკუთრებით არც ვარსკვლავს და არც მარცვალს. მხოლოდ სამარადისო მყოფი (ამ სიტყვის ქეშმარიტ მნიშვნელობით) რჩება უცვლელად ჩვენში ყოველ ცვლილების დროს, და შესაძლებელად ჰქმნის თვით ამ ცვალებადობას, რადგანაც თუ არაფერია მყოფი, უცვალებელი, არ იქნება ცვალებაც.

ეს მყოფი არის ის კავშირი, რომელიც აერთებს ყველა სულს იმ წითელი ძაფით, რომელიც გაბმულია მთელ არსებებში და რომლის ცოდნაც გვაძლევს ჩვენ თავის-თავის ქეშმარიტ ცოდნას. სიტყვები: „იცი თავი შენი“ ნიშნავს ჩვენთვის: იცი ისიც რაც შენ „მე“-ს იქით ძვეს; იცი მყოფი, რომელიც გაბმულია მთელ ქვეყნიერებაში, ყველა გულეში ერთნაირად ყოველი კაცისთვის უმაღლესიდან უმდაბლესამდე, შემოქმედისა და ქმნილებისათვის; იცი ეს ატმანი „ვედლებისა“, ეს უძველესი ქეშმარიტი ღვთის სიტყვა, და მაშინ თითოეული კაცი იქნება ჩვენთვის ისეთივე გამომეტყველება ან მყოფისა, როგორც ჩვენ, და უკვე ჩვენი მოყვასი კი არა, არამედ თანა-კაცი თანა-არსი.

ესლა მიფუბრუნდები წინანდელს. ჩემი წინააღმდეგეები რაც შეიძლება, მძაფრად მისმენ საკითხს და მეკითხებიან: გო-

ნიერია, თუ არა, მატერია, არის თუ არა მატერიაში გონიერება? მე ვფიქრობ, რომ ყოველ ფილოსოფიურად განვითარებულ ქკუას ცხადად ესმის, რომ არსებობენ საგნები, რომლების არც გონებით წარმოდგენა შეგვიძლია და არც ლოდიკურად შეგნება და რომ კითხვა შინაგან მყოფზე ან გარეგან ქვეყნიერების დასაბამზე, იგივეა, რაც მიზეზთა მიზეზის გამოკვლევის შედეგია. ყოლიფერი ის, რაც კი ჩვენ ამის შესახებ შეგვიძლია ვიწარმოვით, არის ის, რომ გამოვიკვლიოთ ჩვენი მიმღეობანი, რომ გავიგოთ, თუ რას განიგულებენ იგინი წინდაწინვე. თავისთავად ცხადია, რომ იგინი გულისხმობენ ერთის მხრით მყოფს - მიმღებს, ხოლო მეორეს მხრით - ამ მიმღეობის მომცემ მიზეზს, ანუ ერთ პირად რიცხვს (данное), როგორც ამბობს კანტი. ეს მიმღეობის მომცემი მიზეზი შეიძლება სრული უაზრობაც იქმნეს, მაგრამ თუ იგი იჩენს წესიერებას, მიზეზს და შედეგს, მაშასადამე იგი ამით გონიერია. სეთი გონიერობის აღმოჩენა ქვეყნიერებაში შესაძლებელია ორი სახით: ერთი მით, რომ ბუნება გონიერია, და ამას ღებულობენ უმეტესი ნაწილი დარვინისტებისა, თუმცა იგინი ამბობენ, რომ გონიერება ჩნდება თავის-თავად იქიდან, რომ არსებობისთვის ბრძოლაში იმარჯვებენ უმეტესად მიზნისდაგვარები, შეგუებული, ძლიერი არსებები. მაგრამ, თუ არ ვსცდები, ამ მათელიო შეხედულობით ბევრი რამ რჩება გამოურკვეველი. საიდგან იბადება ასე ანაზდათ ეს იდეა უკეთესისა, კარგისა, შეგუებისა, მიზნისა-დაგვარობისა ბუნებაში. ციდან ხომ არ გვიცივიან შემწვარი იხვები? და თვით ეს იხვები ისეთი რამ შემთხვევითი ხომ არ არის, რომელსაც შეეძლო ასეთი ცყოფილიყო და ისეთიც? ვსოქვათ განვითარება მომდინარეობს ისე, როგორც მოწმობენ მეცნიერნი: ჯერ ჩნდება პროტოზოი, შემდეგ ცელენტერატი, ეხინოდერმი, მატლი, მოლლიუსკი, თევზი, ამფიბრია, ქვეწარ-

*) იხ. „შ.ნ. საქ.“ № 13.

მავალი, ფრინველები და შემდეგ ძუძუ-
მწოვარი ცხოველები და ბოლოს კაცი.
მაგრამ საიდგან ჩნდება ცნება იხვზე ან
ფრინველზე. არის თუ არა უბრალო გან-
ყენება იმ მიმდევობათა, რომელსაც ჩვენ
ვღებულობთ ათი ათასი ფრინველისა ან
იხვისაგან, თუ იღვა ფრინველისა იხვისა
უნდა არსებულებო, რომ შეგვძლებოდა
მისი გამოორჩევა სხვა მრავალ მიმდევო-
ბათგან.

ის მტრედი, რომლის ფრთების თი-
თეული ბუმბული დათვლილია, უბრალო
შემთხვევითია, რომელსაც ი სახითაც შე-
უძლია არსებობა, რომლითაც ვხედავთ
და სრულებით სხვა სახითაც, თუ იგი წარ-
მოადგენს ნების და აზრის ნაყოფს, რა-
ღაც ორგანიულ სრულს? ჩვენ წინ ისევ
ძველი საკითხია: იღვა წინუსწრობს, თუ
გამომდინარეობს სინამდვილისგან*). ამ
საკითხზე საშუალო საუკუნის ფილოსო-
ფოსებმა დაიმტკრიეს კბილები; მან გაჰ-
ყო იგინი ორ ბანაკად: რეალისტებად და
ნომინალისტებად და ეხლაც არსებობს
ასეთი დაყოფა. ჩემის ფიქრით, თანამედ-
როვე ბუნების მეტყველება გვიჩვენებს,
რომ ბერძნული ფილოსოფია, სახელდობრ
პლატონი, უფრო ქვეშარტი შეხედულო-
ბისა იყვნენ ამ საგანზე, როცა მრავალ
ინდივიდებს იქით ხედავდენ საერთო იდე-
ასან ჯიშს, და ხსნიდნენ ეოლიუციის
ქვეშარტი თანდათანობას არსებობისთვის
ბრძოლით კი არა, არამედ იდეის, ლოგო-
სის (სიტყვის) განვითარებით. საგნების
მდგომარეობა ორივე გიპოტეზებში ერ-
თი და იგივე რჩება; მაგრამ ბუნების გო-
ნიერობაში და მიზნისდაგვარობაში მხო-
ლოდ ბერძნები ხედიდენ გონიერ პრო-
გრესიულ აზრების განხორციელებას და
არა ბუნების უმსგავსო გლადიატორულ
ბრძოლის ნაშთს.

დარვინიტები ახლოს წააგვანან რო-

*) ე. ი. ჯერ აზრი, იღვა დაიბადა, თუ ის სა-
განი რომელსაც ამ აზრის განხორციელებას (სინამდვი-
ლეს შეადგენს). მთარგ.

მის იმპერატორებს, რომლებიც ელოდე-
ბოდენ გლადიატორთა ბრძოლის გათავე-
ბას, რომ ტაშით დაეჯილდოებიათ „უფ-
რო დახელოვნებული გაძლება“. იდეა-
ლისტური ფილოსოფია პლატონისა და
გეგელისა კი ხედავს გონიერ სინამდვილე-
ში გონიერ აზრების განხორციელებას,
ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ეს გან-
ხორციელება—ეგრეთწოდებული ქმნილე-
ბა, მხოლოდ ფიგურალურად, მაგრამ ეს
ფიგურალური წარმოდგენები უფრო და
უფრო ფაქიზდებიან. ქვეყნიერება რომ
ტუროსაგან არის გაკეთებული, რასაც ცხა-
დად აჩვენებს ნემეცური Schöpfer, Schap-
fer, ინგლისური chaper, ვედდური trashta
ბერძნული tekton, ბუნებრივი იყო იმ დროს,
როცა უმთავრესი შემოქმედებითი ძალა
ადამიანისა გამოიხატებოდა ხუროვნობაში
და კალატოზობაში და როდესაც საშენი
ტყის სახელი (materies) აღნიშნავდა ყვე-
ლა ნივთიერ საგნებს. ხოლო როდესაც
იღვა შემოქმედისა, როგორც მაშენებე-
ლისა, უარჰყვეს, როგორც უფარვისი,
ქვეყნიერება გაიყო ორ ნაწილად. ერთი
ნაწილი ფიქრობდა, რომ პირველყოფი-
ლი ნივთიერი შემადგენელი ნაწილები—
ატომები ეწოდება მათ, მონადები და ფე-
ლიები - ერთმანეთის შეჯახების, ან ბრძო-
ლის, დროს, აგრეთვე ერთმანეთის მიზ-
დულობის და ნათესაობის მიზეზით, გა-
დაიქცნენ იმ ქვეყნიერებად, რომელსაც
ვხედავთ ჩვენს გარშემო. მეორე-ნაწილს
შეუძლებლად მიიჩნდა, რომ უგზუნურისა-
გან რამე გონიერი წარმომდგარიყო, ამი-
ტომ განიგულა გონიერი არსება, რომელ-
შიღაც ვითარდებოდა ყველა ქმნილების
პირველსახე, ეგრეთწოდებული სიტყვა—
ლოგოსი ქვეყნიერებისა. როგორც ხორ-
ციელდება ეს ლოგოსი ობექტიურად და
ნივთიერად, ისეთივე მიუწდომელია კა-
ცობრივი ჩვენი შეგნებისათვის, როგორც
ქვეყნიერების აღორძინება აურაცხელ
ატომთაგან, ან ცოცხალი გალიათაგან.
ორივე გიპოტეზა ნაკლულევანია და არ

გვაკმაყოფილებს; მაგრამ ლოგოსის გიპოტეზას აქვს ის ღრმა უპირატესობა, რომ მრავალრიცხოვან სასწაულების მაგიერ — სასწაული მონადისა, მატლისა, მოლლი-ესკისა, თევზისა, ამფიბრიისა, ქვეწარმავლისა, ფრინველისა და ბოლოს ადამიანისა — ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი სასწაული ლოგოსისა, ქმნალების იდეისა, ან დაუსაბამო შემოქმედისა, რომელმაც თავის აზრის მიხედვით გააჩინა მთელი არსება. აქედან ცხადია ისიც რომ სულიერი ბუნების ემბრიოლოგიური განვითარება მხარდა-მხარ მისდევს ბიოლოგიურს, ან ისტორიულს, ან წარმოდგენს მის სრულ მსგავსებას. მხოლოდ იმ განსხვავებით რომ კავშირი ან განუწყვეტლობა აზრისა უფრო იწროა, ვიდრე კავშირი რეალურ ქვეყნიერებაში. მაგალითად ადამიანის თესლის განვითარებაში უხირხემლო ცხოველებისგან ხერხემლიან ცხოველებისადმი გადასულის წარმომადგენელია ამფიოქსუსი, რომელიც გაჩერდა იქ, სადაც იწყება ხირხიმიანი კაცი, და თვით ერთი ნაბიჯიც არ შეუძლია წარსდგას წინ, მაშინ როდესაც ადამიანის თესლი ვითარდება და ვითარდება, სანამ არ მიადწევს უმაღლეს მიზანს.

ბოსლეველი.

(შემდეგი იქნება).

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი .

გავრძელება. ¹⁾

ყოველ კაცს ენაზე ეკვრა „ახალთაობა“, „სოციალდემოკრატია“, „არგანისტაცია“, „პრაბაგანდისტი“, „კომიტენტი“, „ხულაგანი“, ან „ხურგანი“. (ამ ტერმინებს ხალხი ასე ხმარობს და შეც დავიცევი ეს ხმარება ასე). ვინც „სოციალდემოკრატია“ ის ქრთამს არ აიღებს; არავის მიუღდება უსამართლოდ, იძახის ახალთაობის

¹⁾ ის „შინ. საქ“ № 12.

წარმომადგენელი; შეხედავ ორ ჩოხასა და ატლასის ახალთაობაში არის ჩამჯდარი, და ფეხებზედ 12 მანათიანი ჩექმები კალოშებით უპრიანებს. როგელი კაცი ჩადის ამას? ის, რომელსაც ორი წლის წინათ კაცად არავინ თვლიდა, ცივი მქადი სანატრელად ჰქონდა და თუ ოდესმე ქალამანს ეღირსებოდა ფეხებზედ, ღმერთს მადლობას სწირავდა. ახლა კი ასე გავლერებ-გაბრწყინებული გამოიყურება, უფლებებით შემოსილა და სულთანსავით ბრძანებლობის კლოთი ლაპარაკობს სახელითა „კომიტეტ-ორგანიზაციისათა“. ასე კარგათ ვინ შემოსა ეს ახალთაობის სოფლად მაწარმოებელი? რამ აცვლევინა მას ასე მალე ფერი? რამა, და წარმომადგენლობაჲ. იგი გახდა შემაერთებელ ხიდათ ხალხსა და კომიტეტს შუა, კომიტეტი კი ხალხს პირველშე რაღაც ჯადოსნურ მანქნებად მიანდა; ჯოჯოხეთის ხენება და მისი ხალხისთვის ერთი შეიქნა; მის ხსენებაზე შიშის ურუნტელი უვლიდათ ხოლმე ტ-ნში. საკმაო იყო ვინმესთვის გეთქვა, კომიტეტში დაგასმენო, რომ მაშინვე მუხლოდრეკით შეგხვეწოდა: ოღონდ კომიტეტს ჩემს ამბავს ნუ გააგებებ და, სულს აქეთ რაც მბადია, შენ მოგცემო. ეს ხალხის გაგებობა — შიში კარგათ გამოიყენეს წარმომადგენელ-ტერორისტებ-ასისტევებმა თავის სასარგებლოდ: მოუძებნეს რა სუსტი მხარე თავიანთ ქვეშევრდომებს, დაუწყეს მათ ნელნელა ცინკლა. — მამასახლისსუღიებთან მისვლა ხომ სასტიკათ აღკრძალული იყო და აბა ვისთვის უნდა მიემართნა დაჩაგრულ პირს და მომჩივან-მოპასუხეს თუ არ წარმომადგენელ ასისტავისთვის და ესენი განა მამასახლისზე ნაკლები ყოჩაღები იყვნენ თუ? უქრთამოთ არავის საქქეს არ უკეთებდნენ, მე კი მეგონა, რომ ახალთაობის ხელში ქრთამი ჯოჯოხეთის ვერ გაანათებსთქო, მაგრამ არც იქ დაკარგვია ქრთამს თავი ი ყოვლის შემძლეობითი ძალა და მშვენივრად ანათებდა ჯოჯოხეთს. „ამას ვწყინობო“, ამბობს დ. გურამიშვილი, რომ „ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი ძრახვენო“ და მართალიაა სწორეთ! სხვათა შორის ერთ ასეთ ხერხსაც ხმარობდნენ ზოგიერთი წარმომადგენელები: ამონიშნავდნენ

დრო და დრო ორ-სამ შეძლებულ ადამიანს და პროკლამაციებში გააწერინებდნენ მათ სახელს და გვარებს როგორც „ხულიგანს“ და ახალთაობის მოღალატეს და უცხადებდნენ, თუ არ გასწორდით, მალე, ტყვიით იქნებით გასწორებულიო. ამისი გაგონება და თავზარდაცემა ერთი იყო; გაფითრებულ-შეძრწუნებულნი წარმომადგენელს ეხვეწებოდნენ, ოღონდ სიკვდილისგან დაგვიხსენი და, რითაც გინდა, მითი გვიმსახურეო. ხუთი-ექვსი თუმანი წარმომადგენელის ჯიბეში ჩაჩხრიალებული თავმდები იყო მისი, რომ ესენი კომიტეტის რისხვას აცილებდებოდნენ. და მართლაც ხელახალ ცნობას აძლევდა კომიტეტს ან სწორეთ რომ ვსთქვათ, ორგანიზაციას მისი წარმომადგენელი, რომ ესე და ეს კაცები საშინი აღარ არიან, გასწორდნენო.

ღმერთმანი გასწორებულნი იყვნენ მანამდისაც და საუკეთესო მშრომელები, მაგრამ ვინ დაგიჯერა? წარმომადგენლებს ავათ თუ კარგათ გაუძღვებდა კაცი, მაგრამ ამკიარალიანმა ხალხმა, ეგრეთ წოდებულ ტერრორისტ რაზმელებმა მთლათ უფრო გააჭივრეს საქმე: იყვნენ, ბატონო, ესენი შეტყებულნი ტყვია-პატრონებით, ზარბაზნის მეტი ყველაფერი იარაღი ტანზედ ეკიდათ; ისე მედიდურათ დაბრძანდებოდნენ სოფლიდამ-სოფლად, რომ სალამის მიცემას ვერ გაუბედავდა ვაგლახათ კაცი. თავისი თავი რაღაც თვით-მპყრობელებად მიაჩნდათ და თავიანთ ქკუა-გემოვნებაზე ატარებდნენ დროებას. მიზანი მათი დანიშნულებისა იყო, რათა მტერთათვის ყოფილიყვნენ ზარ დამცემი, მაგრამ რა ბრძანებაა, იგინი ზარდამცემი შეიქნენ უფრო მშვიდობიან საწყალ მშრომელ ხალხსათვის; ამ უკანასკნელს ჰქონდა მათგან გული გადმოტრიალებული დღე და ღამე, უყურებდა რა მათ მოქმედებას და ესმოდა რა მათი საქმენი საგმირონი. არაკათ ასე იტყვიან, მეც ასე გამიჯონია, რომ სადაც კი შეახვლითებდნენ ესენი თავისს საქბილოსვინმეს, ეცემოდნენ თავზე თუ დღე, თუ ღამე და

ართმევდნენ ოფლით მოპოვებულ ორიოდე გროშებს და ქეიფობდნენ და ქეიფობდნენ ხალხის ვითომ მეგობრები, ვითომ თავდადებული გმირებ-რაინდები. ღმერთო ნუ მიწყენ და მგონი ალაგ-ალაგ თვით მქადაგებლებიც (პროპაგანდისტები) კი შველოდნენ რაზმელებს ცარცვაგლეჯაში! დიად, ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს! შესუქდნენ, აბზილდნენ ბეკური სამართლიანობის დამცველნი, ძველი წესწყობილების მკიცხავ-დამწყუნებელნი, მაგრამ ეს რა უყოთ? გაპროლეტარება ხალხისა აუცილებელიაო, ამბობს მათი სახარება, და კიდევაც შეუდგნენ ამ მცნების აღსრულებას ზემოხსენებულნი პირნი: ესენი ხვას აპროლეტარებენ, თვირონ კი ბურჟუაზდებიან, მაგრამ ამას ზოგნი ერთობ გვიან მიხვდებიან. ამ ვაჟბატონებს თავისი თავი იალბუხზე მალლა ღიაჩნდათ და ძლიერ მოწონდათ თავი იმით, რომ შეიარაღებულნი იყვნენ. რაც შეეხება შეგნებას, საქმის კარგათ გაგებას და პატიოსნებას ამაზედ ძლიერ მწყურალად გახდნენ ბევრი ამათგანი. მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჰქონდათ გაზეპირებული და იმას გაიძახოდნენ ყოველ ენის მოტრიალებაზე: „ამხანაგებო“, „ამხანაგო“ ცოციალ-დემოკრატებო“, მაგრამ ვერაფერი დიდ ამხანაგობას უწყდნენ ხალხს. — „ხელმწიფე უნდა ჩამოვაგდოთ ტახტიდანაო, იძახიან ახალთაობის კაცებო, ამბობდა ხალხი, მარა ჩვენ რა სარგებლობა გვექნება აქედანაო, ერთი ხელმწიფის მაგივრათ ათასი და ათიათასი ჩნდებაო და ბარემ ერთისა ყოლა არ სჯობიაო“. — უთუოდ ყველას აკმაოთ ექნება შეგროვილი მასალა ზოგიერთ ტერრორისტ და პროპაგანდისტებთა გმირობა-პატიოსნების შესახებ და ამიტომ მე აღარავის შევაწყუბებ ბევრი მაკალითების მოყვანით.

ქვეციხელ-საბაჟოელი.
(შემდეგი იქნება).



ქართულ კოლიტიკურ მოღვაწეებს.



Отвлеченное начало равенства—ничто иное, как пустая фикция, которой назначение—обмануть общественную совесть..

Ламена.

Мы не придемъ къ свободѣ путемъ красивыхъ фразъ; Все рѣчи въ этомъ родѣ—Молчите, сгубятъ насъ.

Мицкевичъ.

I.

განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მეთაურები არ შორდებოდნენ ხალხს, ისინი მუდამ ხალხთან იყვნენ; ჯერ შიშ ქვეშ დადიოდნენ და სწევდნენ პროპაგანდას; მაგრამ შემდეგ, როცა მთავრობამ უძღურებისა გამო თუ სხვა მოსახრებით დაჰყარა იარაღი და არ ერეოდა არავითარ მის საწინააღმდეგო მოქმედებაში, აშკარად იწყეს სიარული და მალალი, გახედული პროპაგანდა. დაარსდა ორგანიზაციები, რომლებსაც გაიჩინეს მაწრაფლ-მბეჭდვეები, სადაც იბეჭდებოდა უთვალავი პროკლამაციები. შინაარსი ამ პროკლამაციები ა იყო დასურათება მთავრობის მოქმედებისა, ლანძღვა-გინება სამღვდლოებისა, ეკლესიისა, თავდა-აზნაურობისა და ბურჟუაზიისა, გამოქომაგება მუშა ხალხისა და დასურათება მომავალი მმართველობისა. შიგა და შიგ პროპაგანდისტები ხალხს არწმუნებდნენ რომ მათი მტერია სამღვდლოება, ეს წოდება მოგონილია მთავრობისაგან შისის ძლიერებისათვის; არ არის საიქო, მომავალი ცხოვრება; ჩვენი ცხოვრება აქვე დედამიწაზე თავდება და მაშასადამე საჭირო არ არის ეკლესია და არც სამღვდლოება; იგი მეტი ზარგია კაცობრიობისათვის; დადგება დრო რომ ეკლესიაც და სამღვდლოებაც მოისპობა და რაღა მომავალს ვუყუროთ, მოსაპობი ადრევე მოესპოთ; - ამით ხალხი განთავისუფლდება ძარცვა-გლეჯისაგან, ხოლო ეკლესიები სკოლებად და ტეატრებად გამოგვადგება, სადაც ხალხი, ნაცვლად ცრუ

მორწმუნეობისა და მოგონილი ღრთის ვედრებისა, მიიღებს სწავლა განათლებას და განვითარებასო.

ღვთის გმობით და სამღვდლოების უარყოფით პროპაგანდისტები და მათი ორგანიზაციები უარს ჰყოფდენ ყოველივე იმას რასაც ჰქვია საღმრთო წერილი. 17 ოკტომბრის მანიფესტით დააკანონეს (სანქციონირვანი) თავისუფლება სინიდისა და რწმენისა, - რაც გინდა და როგორც გინდა, ისე ირწმუნეო. შენი თავის ბატონი შენ ხარ; პასუხს აგებ მხოლოდ წინაშე სინიდისა და არავითარი სასჯელი უზნეობისათვის, გარეშე შენის სინიდისა, არ არისო. საღმრთო წერილის უარყოფით თავისთავად უარყოფილი იყო ყოველივე ეკლესიური მოქმედება. - ქოწინება პროპაგანდისტების აზრით საჭირო არ არის, შეიძლება პირობით თხოვა და გათხოვება; საიდუმლო ქოწინებისა წარმოადგენს ძალ-დატანებას და როგორც ასეთი უნდა მოისპოს. კოლქრობითი კავშ-რის დროს საჭიროა მხოლოდ ხასიათის შეთანხმება და როდესაც ხედავ ამ შეთანხმების დარღვევას, რომელის მხრითაც უნდა იყოს, შეიძლება განქოწინება, გაშორება და ხელ ახლად მეორესთან შეკავშირება. ნათესაობა პროპაგანდისტების აზრით არ არსებობს; შესაძლებელია ძმამ და შეიერთოს კოლად, ბიძაშვილებმა ერთმანერთი, ე. ი. ყოველნაირი ნათესაობა მოსპობილია.

და ამ აზრებს ჰქადაგებდნენ იმ ხალხში, რომელსაც ქრისტიანობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი; იმ ხალხში, რომლის უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის და მაშასადამე თეორიულად შეუძლებულ ძალად ზნეობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს და არც შეუძლია იქონიოს. მაგრამ სამაგიეროდ ქრისტიანული მალალი ზნეობა და კაცთმოყვარება შეადგენდა მის სამაგ ლითო თვისებას და სიშვენიერეს.

ასეთი აზრების ქადაგებით დიდს უკმაყოფილებას გრძნობდა ხალხი მქადაგებელთადმი და თუ არ ამხელდა, ერთი იმისთვის, რომ ეშინოდა, რადგანაც ემუქრებოდნენ წინააღმდეგ პირთ და არც შესაძლო იყო სტიქიურ მოძრა-

ობის დროს, და მეორედ მისთვის რომ მართლაც გაქცეული ხალხი ახალის მოძრაობით უმჯობესი მომავლის მოლოდინში იყო და იმ მოსაზრებით, რომ მიი რწმენა მის გულშივე დარჩება, ითმენდა მოწინააღმდეგე აზრების შეჯახებას, თუმცა სატანჯველი იყო ასეთი მოთმინება.

ამ უცხო აზრების ქადაგების დროს სოფლის კრებებზე და მიტინგებზე ქალაქებში, ესწრებოდა სამღვდლონიც და საერონიც, რომელთაც არ მოსწონდათ ასეთი ზნეობრივად გამრყენელი იდეები და იქნება უნდოდათ ხმა აღემაღლებათ და ეთქვათ რამე სამაგიერო, მაგრამ როგორ გაბედავდნენ გამოკამათებას იმ კრებებზე, სადაც ყოველივე ძალმომრეობას და ტერრორის შიშს მოეცვა; იმ კრებებზე, სადაც, ნაცვლად სიტყვისა და რწმენის თავისუფლებისა, ხედავდით ძალმომრეობას იმ პირთაგან, რომელთაც გაილაშქრეს საბრძოლველად წინააღმდეგ ყოველ გვარ მონობისა, ძალმომრეობისა და სიკვდილით დასჯისა მთავრობის მხრით. ეს ჩირქის წამსებები და გამაშავებელი თვისება ერთის პარტიისა შენიშნა მეორე პარტიამ და შემდეგ ნამდვილის შედარებისა ყოველს მუხლებში უფრო უარეს, უსასტიკეს თვითმყრობედობად უწოდა ამ სახით მომქმედ პარტიას ცალკე პროკლამაციებში.

II.

ახალი აზრების გასავრცელებელი საშუალება იყო პროპაგანდა სოფელში და ქალაქებში, გაფიცვები მუშების მხრივ, ბოიკოტი და ტერრორი ანუ საკვდილით დასჯა.

მოძრაობა იყო ძლიერი, როგორც არ ახსოვს რუსეთის სახელმწიფოს, და იყო მიმართული სასტიკ რევოლუციისაკენ, რომლის საშინელი ნიმუშები კიდევაც ვნახეთ 1905 წლის განმავლობაში რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ხალხის მღელვარებამ დაფარა მოქმედება მთავრობისა. ყველა ახალი წყობილების მოლოდინში იყო. მთავრობა და მისი წარმომადგენლები აღარ სჩანდნენ; თუმცა იყვნენ გუბერნატორები და მაზრის უფროსები, მაგრამ აქტიურ მონაწილეობას მოძრაობის წინააღმდეგ არ ღებულობდნენ; ასე რომ დიდი და

პატარა, შეგნებული და უგუნური თითქმის დარწმუნდა ძველი მმართველობის მოსპობაში და ძველის ნანგრევებზე ახალი ძმობისა, ერთობისა და თავისუფლების დროშის აღმართვას მოელოდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ ითვლებოდა საქმე გათავებულად; დამუშუდებელი კრება ჯერ არსად სჩანდა, რომლის დაარსება და მოწვევა იქნებოდა უტყუარი საბუთი ძველის დანგრევისა და მოსპობისა და ახალის აშენებისა და აღორძინებისა. ამისათვის საჭირო იყო ძლიერი აგიტაცია ხალხში, აღელვება ხალხისა უმაღლეს წერტილამდე. და ვინც ამ მოძრაობის წინააღმდეგ გაბედავდა რამეს სიტყვით ან საქმით იგი უნდა მოსპობილიყო ტერრორის საშუალებით, როგორი საშუალებაც სისრულეში იყო მოყვანილი.

ასეთი მოქმედების ნიმუშად მეთაურებს ჰქონდათ სახეში 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. სწორეთ ისეთი თავგამეტებული ბრძოლა, როგორც მაშინ იყო, სწორეთ ისეთი მაღალი, მომხიბლავი და ხალხის ამაღლვებელი სიტყვების გუგუნე, როგორსაც ისმენდნენ პარიზის ქუჩებში... და მართლაც ამ მოძრაობას სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, რომ არ ჰკლებოდა ელთი რამ, რომელიც აძლიერებდა და ასულდგმულვებდა საფრანგეთის დიდ რევოლიუციას. ეს ერთი რამ იყო „სახოგადოებრივი შეგნება“ (общественное сознание) რომელ შეგნებასაც მოანდომეს გონიერმა ენციკლოპედისტებმა მთელი მეთვრამეტე საუკუნე. საფრანგეთში არამც თუ მეთაურები თვით ხალხიც შეგნებული იყო თავის მოქმედებაში და, როგორც შეგნებულად მომქმედი, მზათ იყო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად. ჩვენში კი ეს „სახოგადოებრივი შეგნება“ არ იყო. ამ შეგნებას მოკლებული იყო, როგორც ხალხი, ისე მეთაურები, რაც ნათლად დაგვანახვა რეაქციამ.

III.

მხოლოდ იმ მოძღვრებასა და სწავლას აქვს დიდი გასავალი ხალხში და ძლიერი მოქმედება მსმენელზე, რომელიც არის დამყარებული არა შიშსა და ძალმომრეობაზე, არამედ

ქრისტიანულ კაცთმოყვარებაზე, მსგენელის შინაგან რწმუნებაზე და მის ფოლადსავით მაგარს თვითშეგნებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოძღვრება, რაც უნდა კარგი და სასურველი იყოს, მაინც ლაყვა, ნიადაგ მოკლებულია, რადგანაც სიტყვა და საქმე არამც თუ ეთანასწორება და ეთანხმება ერთმანერთს არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს და მაშასადამე თავის თავად ისპობა თვით მოძღვრება და რჩება მხოლოდ ისტორიულ ფაქტად კაცობრიობის მესხიერებაში.

ასე მოუვიდა ახალ სოციალურ მოძღვრებასაც. ეს მოძღვრებანი იყვნენ სხვათა შორის მიმართული წინააღმდეგ ქრისტეს სარწმუნოებისა, რომელი სარწმუნოების და სწავლის წარმომადგენელი აღგნენ სრულ თავისუფლების გზას ქადაგების დროს; მათი მოწოდება გამოიხატებოდა მათ მოყვარების და ღვთის აღსარების ქადაგებაში. ყოველგვარი ძალმომრეობა, ზნეობრივი თუ ფიზიკური, მათ მიერ უარყოფილი იყო, პირიქით მღევართა და მტანჯველთა თვისთა აკურთხევდნენ და ლოცვიდნენ, ემორჩილებოდნენ კიდევაც; ხოლო ცხოვრებაში იყვნენ უუღიღესი ზნეობით შემკობილნი, ქრისტიანული მათ მოყვარებელს მოძღვარნი და ნამდვილ თვითშეგნებაზე დამყარებული კომუნის დამფუძნებელნი. და ეს იყო მიზეზი იმისა რომ თორმეტი კაცის ქადაგებით წარმოუდგენელის სისწრაფით და ძლიერებით ვრცელდებოდა ქრისტიანობა ქვეყანაზე. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ მაშინ სუფევს, როდესაც არავითარ სიტყვასა და მოქმედებაში არ ჰპოვებ ძალდატანებას, ხოლო ძალმომრეობაზე და სისხლისღვრაზე ლაპარაკიც სამარცხვინოა.

ნამდვილი და გონიერი კრიტიკა მოითხოვს, რომ იმის ადგილზე, რასაც უარს ჰყოფ, დააყენო უფრო სრული, უფრო მაღალი სწავლა და მოქმედება. როდესაც ორში ეუბნები კაცს არჩევანს, რომელის რჩევაც გსურს მისთვის, გაცილებით უნდა სჯობდეს მას, რომელსაც იწუხნებ. თუ ეს ასე არ არის, არჩევანს არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ აქვს. — ქრისტე და მისი მოციქულები უარს ჰყოფდნენ

წარმართთა და ურიათა შეტედულებას, რომელიც ამბობდა: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. უარს ჰყოფდნენ მონებას და იმ შემარცხვენელ ძალმომრეობას, რასაც ჩადიდდნენ თანამედროვე მმართველნი; უარს ჰყოფდნენ იმ უზნეობას, რომელიც პირუტყვთან ასწორებდა ადამიანს და ნაცვლად ყოველივე ამისა ჰქადაგებდნენ, როგორც ზემოთ ვსთქვი, ღვთისა და კაცისადმი სიყვარულს, უუმაღლესს ზნეობას, რომელიც ღმერთის დაამსგავსებს ადამიანს და ამ ნაირად სულით და ხორკით განწმენდილ ადამიანის გონებას მიაპყრობდნენ უუსრულეს და სანეტარო მომავალ ცხოვრებისაკენ, რომელი ზენაარ ცხოვრებისათვის, და არა ქვეყნიურ წუთის ნეტარებისათვის, ახალნი ქრისტიანენი მზათ იყვნენ დიდ სულოვნებით შეხვედროდნენ ყოველივე ტანჯვასა, მწუხარებასა და სიკვდილსაც. და ჰქადაგებდნენ რა ასეთს მოძღვრებას, პირველად თვითონ ასრულებდნენ, პირველად თვითონ აწვენებდნენ სახესა და მაგალითს კეთილის და სახიერის ცხოვრებისას. დიდსულოვნება და მაღალი ზნეობა ქრისტიანობის ქადაგებისა იმ ხარისხამდე ავიდა, რომ მტარვალთადმი ლოცვა კურთხევის მღალადებელნი, თვითონ მიუშვერდნენ თავს ჯალათის ხრმალსა და ქრისტე გეთსამანიის ბაღში სასჯელის სახელით უბრძანებს ჰეტრე მოციქულს, რომელმაც იხმარა მახვილი: „დასდევ მახვილი, რომელმან მახვილი იხმაროს მახვილითვე წარწყმდესო“. და ამ სიტყვებით, მიეცა რა მტანჯველთა ხელში, გაბედულად განვიდა, რააა აღიღოს ჯჭვრი თვისი!!

ღიახ ქრისტიანობის წარმომადგენელი იყვნენ უმაღლეს წერტილამდე დიდსულოვანი და მაღალი ზნეობის მექონნი. და ქრისტეს ჯვარის მტვირთველნი განცხადებულად და გაბედულად წარდგებოდნენ წინაშე მათის მტანჯველისა, მაწამებელის ჯალათებისა და მმართველებისა.

ივრიელი.

(შემდეგი იქნება).



მაცხოვრის ხატის წინ.

წუთის ცხოვრებით აღშფოთებული...
კაცთა-ცოდვათა მე შემხედვარე,
ვილტვი სოფლიდან ზარ-დაცემული...
მუხლებზე შენ წინ აქ ვარ მდგომარე!

* *

შევთხოვე: უფალო, გვექმენ მოწყალე,
მოგვეცი კაცთა ძალი ნებისა!
ნიქი ავ-კარგის ცნობის მოგვეადლე
და სიყვარული ერთმანერთისა!!

* *

აღგვიხვენ თვალნი: გვაჩვენე ნათლად
ცოდვანი მძიმე, ცდომილებანი;
ბოროტი გზიდან გვეყავი მფარვლად,
ქვეშარიტების გვასწავლე გზანი!

* *

გონება, გრძნობა დაბნელებული,
ღმერთო იესო, შენ განგვინათლე:
ანდერძად შენგან დატოვებული
გვასრულებინე მარად „სიმართლე!“

* *

კეთილი გული, ღმობიერება
მოგვეც ჩვენ, კაცთა, ს:თნო გვიყავი:
რომ აღვასრულოთ მით დიდი მცნება, —
რომ სხვაც გვიყვარდეს, ვით თვისი თავი!!

ლადი გავუ.

28 ნოემბერი 1890 წ.
სადგური აბაშა.



სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი

წაგიღაწიანის მართადა საფუძველსა.

გაგრძელება.¹⁾

შეიძლება, მეცნიერება ძლიერი იყოს სხვა საშუალებებით, რომ შეუქმნას ადამიანს ბრწყინვალე მომავალი: მეცნიერება იკვლევს კანონებს, რომლებზედაც დამყარებულია ქვეყნიერება, პოულობს გავლენის საშუალებას იმ

¹⁾ იხ. „შინაური საქ.“ № 13.

ძალებზე, რომლებიც ჩანერგილნი არიან ნიუ-თიერებაში, მეცნიერება დიდი უფლებებით აიარაღებს ადამიანს ბუნების წინააღმდეგ. იყო დრო როდესაც ადამიანს ეშინოდა ბუნების ყოველი მრისხანე მოვლენისა; ეხლა იგი მის მეფედ გადაქცეულა: „მეცნიერებამ მზე სბეჭდავ მანქანად გარდაქმნა, ალკაზმა ტალღა, შეკუმშა შეუპოვარი ქარი, ორთქლი უღელში შეაბა, ელვას პოტალიონის ჩანთა ჩამოჰკიდა; აღწასის ბურღები გულს უგმერენ კლდეებს; პოულობენ წყაროებს ცხელს უდაბნოებში; ვეებერთელა ჩაქუჩები, თითქო ხუმრობენო, სრესენ ლითონის ნამზღვლევეებს; ტელეგრაფმა, ტელესკოპმა მოსპეს მანძილი, სპექტრალურმა გამოკვლევამ შეიტყო, რისგან შესდგება პლანეტები. აურაცხელი ქარხნები სულ მკორე მუშის ღონით ასრულებენ ისეთს მძიმე სამუშაოებს, რომელიც არც კი დასიზრმებით ზღაპრულ დევ გმირებს. ძველი დროის ხალხს რომ წარმოდგენა შესძლებოდა მისი, რასაც ეხლა მეცნიერება ჰქმნის, გადაჭრით იტყოდა, რომ ექლა დამდკარა ის სანეტარო ოქროს ხანა, რომელზედაც ჰათი პოეტები ოცნებობდნენ. მაგრამ ყოველ ამ ჰკუნის ნადავლთან, ალთქმის ქვეყანა მიგვირბის ისე, როგორც მოჩვენება. ხალხის უმრავლესობის ღრმა უმეცრება, უკიდურესი შრომა, მოღალადე სიღატაკე, მუქთა ხორაობას და მფლანგველობასთან ერთად, არა ნაკლებ საგრძნობელნი არიან ელექტრონის ხახაში, ვიდრე იმ დროს, როცა ადამიანი უკიდურეს ველურ მდგომარეობაში იყო. სამოწყალო სახლეი და საპყრობილეები ისეთივე ჩვეულებრივი თანამოგზაურნი არიან სწავლა-განათლების წინ სეღისა, როგორც დიდმშენიერი მღაზიები და მედიდური საახლეები. ხალხმრავალ ქალაქებში, ასფალდებით მოკირწყლულ და ელექტრონის მზეებით განათებულ ქუჩებში ჩვენ, როგორც ყველგან, ვხედავთ დაქანცულ, დაღვრემილ, გამოროტებულ სახეებს. იქ, სადაც აუარებელი სიმდიდრეა შეკრებული, ხალხი შიმშილით იკლიტება და დასწელებული, ღონემიხდლი ბაღლები სწოვენ თავიანთ დედების გამოფიტულ ძუძუს. ყოველი მხრით შექმნის წყურვილი და

სიმდიდრის თაყვანისცემა იმის მაჩვენებელია თუ რამდენად ძლიერია ხელმოკლეობის, გაჭირვების შიში. სახარების ლაზარეს და მდიდრის იგავის საღმობიერებას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი სიწმინდე.

„რა სარგებელია ადამიანი — დევგმირისათვის, რომ მან მოტაცა ცეცხლი ზეცით და გაიხადა თავის მსახურად, რომ მას ემორჩილება ყოველი ქვეყნიერი და ჰაერის ცხოველი, — ეციობება ცნობილი მწერალი გეკსლი — თუ ძერა საქროებისა ნაწლევების ქენჯნას არ მოუშლის მას და თნის ბეწვზე დაიქერს მას სრულის განხრწნისაგან? „მე არ მეშინია გამოვთქვა ის ხბრი, აშბობს იგივე მწერალი რომ, თუ კაკობრობის ოჯახობის უმრავლესობის მდგომარეობის გაუნჯობესობის იმედი არ არის, თუ მართალია, რომ მეცნიერების ზრდა, რომელიც ბუნებაზე დიდ უფლებებს იძლევა და ამ უფლებებით შეძენილი სიმდიდრე არაფრით არ შესცვლის საქროების გამწვავებას ყველა მისი თანამხლებელ ხალხის ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებითურთ, მე სიხარულით მივეგებებოდი რომელიმე კეთილის მყოფელ კთომილის (ვარსკვლავი) მოახლოვებას, რომელიც გადარეცხდა დედამიწის ზურგიდგან მთელ ამ ისტორიას და სასურველ ბოლოს მოუღებდა მას“.

„ეს კავშირი სილატაკისა პროგრესთან, — აშბობს გენრი ჯორჯი, — შეადგენს ჩვენის დროის უდიდეს გამოცანას, ეს არის დედა ძარღვი, რომლისაგანაც გამომდინარეობს ის მრეწველობრივი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიბნელე, რომელიც ჰბორკავს ქვეყნიერებას და რომლის წინააღმდეგაც ფუქად იბრძვიან სახელმწიფო კაცები, კაცთ მოყვარე ადამიანები და პედაგოგები. იმისგან აღის ის ქანლი, რომელიც ჰბურავს თვით პროგრესსიულად დამოუკიდებელ ხალხების მომავალს. ეს გამოცანაა, რომელიც მეხედისწრემ მისცა გამოსარკვევად ჩვენს ცივილიზაციას და რომლის გამოურკვეველობაც დაღუპვის ნიშანია. სანამ მთელი სიმდიდრე, რომელსაც მატერიალურ პროგრესს უწოდებენ, მხოლოდ დიდ ქონების შესაქმნელად იხმარება, იხმარება მასხადა-

მე, იმ კონტრასტის გასაძლიერებლად, რომელიც სუფევს სიხარაქისა და გაჭირვების სახლებ შორის, მანამდის პროგრე ი არ არის ნამდვილი და მტკიცე. რეაქცია უნდა დაიწყოს. საქროა განახლდეს ცივილიზაციის მოძრავი ძალები, შევიდეს ცხოვრებაში ახალი მოქმედი გარდა მეცნიერებისა. მეცნიერება, რომელიც სხვა მოქმედ ძალის დაუხმარებლად ქვეყნად უმაღლესი სიმართლისა და თანასწორობის სამეფოს დამყარებას გვიტადდა, ამ მზრე უნდა ცნობილ იქმნას კოტრად“. მის მაგიერ, რომ ზეცის წინამძღოლობის ქვეშ შეერთებულიყვნენ და ომი გამოეცხადებიათ საერთო მტრის — სიბნელისა და უსამართლობის სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანები მეცნიერების დროშის ქვეშ იბრძვიან საზოგრისათვის, ცხოვრების ძირითად დევიზად შეუქნნათ „ვინცვის სძლევი, იგი მას ხრავს“. როგორც ნათქვამია დაღებაში იზმაილზე: „ხელი ერთისა ყველაზე და ყველასი ერთზე“. (დაბ. 16, 12). „თითოეული“ თავისთავზე და თავისთვის, ე. ი. საყოველთაო მტრობა, დაუნდობლობა, ბოროტება და არსად მოსვენება, არსად სიმართლე, შებრალება, სიყვარული. მოწინააღმდეგე მცემა, მით უკეთესი: ბრძოლაში უნჯობესდება ადამიანთა ჯიში. შებრალება დანაშაულობაა, მიტომ რომ ძლიერი მსხვერპლად ეწირება უძლურს, ხოლო მდიდარი სულით და ხორკით ზარმაცებს და სნეულებს. ქვეყნიერებას აბრუნებს და ქვეყნიერებაზე მეფობს, აშბობს მეცნიერება, უღმობელი კანონი „ბრძოლა არსებისათვის“. ცხოვრებაზე და ცივილიზაციის მოქმედ ძალებზე ასეთი შეხედულობის პირდაპირი შედეგია ნიცშეს მოძღვრება.

ნიცშე ორიგინალური, ნიქიერი, ბრწყინვალე გერმანელი მეცნიერია. იგი კრიტიკოსია, პოეტი, ენათ მეტყველი, და ბოლოს ფილოსოფოსიც. მისი ლიტერატურული და ფილოსოფიური მოღვაწეობის ძირითადი თემა ქრისტიანობასთან მკაცრი და განცხადებული ბრძოლაა. ნიცშე ფიქრობს, რომ მთელი უბედურება ჩვენი აწმყო ცხოვრებისა და ჩვენის ცივილიზაციისა წარმოსდგება იქიდან, რომ ჩვენ დავემორჩილეთ სახარების მოთხოვნილ-

ბას შესახებ სიყვარულისა, სიმდაბლისა და მოწყალებისა. მისი აზრით კაცობრიობის წინ მხოლოდ მაშინ ვალიშლება ბრწყინვალე მომავალი, როდესაც იგი განთავისუფლდება იმ ბორკილებიდან, რომელიც დაადო მას იესო ქრისტემ. „მეცით ადამიანს სრული თავისუფლება, — ამბობს ნიცშე, — განათავისუფლეთ იგი ხინდილის უმნიშვნელო ოცნებისა, პატივისა და სირცხვილისაგან; იცანით კანონიერება ყოველი მისი ვნებისა და თქვენ გაგაცივებრებსთ იმ ძალების ძლევამოსილობა, რომლებსაც იგი გამოიჩენს. ათი, ასი და, შეიძლება ათასიც სუსტი ადამიანი დაიღუპოს, გაისრესოს ბრძოლის დროს, მაგრამ მის მაგიერ მათის ოფლით და სისხლით გამაძლარი გამარჯვებული (ადამიანი) მათ მოკრებზე, როგორც საფეხურებზე შევა ზევით და შექმნის ახალ ჯიშის არსებათა დასაწყისს. ეს უკვე უბრალო ადამიანი აღარ იქნება, ეს იქნება „Übermensch“ „უზენაესი ადამიანი“ „ზეგარდმო ადამიანი“ (დევ-გმირი).

ნიცშეს ფილოსოფია დარვინის თეორიის დაბოლოებაა, მისი უკანასკნელი სიტყვაა. დარვინის სიტყვით მთელი გრძელი არსებათა საკიბური, უბრალო სხეულიდან (ორგანიზმიდან) დაწყებული, უმაღლეს ადამიანამდე, წარმოადგენს ერთს განუწყვეტელ ჯაჭვს ერთის ჯიშის მეორეში გადასვლისას. რადგანაც მჭამელი უფრო მეტია საკმელზე, ამიტომ ორგანიზმები განუწყვეტლივ ვითარდებიან. სკარბობენ ლონიერი, საბრძოლოველად უფრო დამზადებული ერთეულები, დანარჩენები კი ან სხვისი ხელით იხოცებიან, ან საკმლის უქონლობის გამო თავის თავად წყდებიან. ყოველი შემთხვევითი უპირატესობა შთამომავლობითის კანონისა კი რჩება ორგანიზმის საკუთრებად. საუკუნეთა განმავლობაში ამა თუ იმ ცხოველების ჯიშს იმოდენი განმასხვავებელი თვისებები უგროვდება, რომ ჩნდება ახალი, უფრო განვითარებული ტიპი ამ ცხოველებისა. ამ უკანასკნელსაც ასევე ემართება. ბუნებრივი გადაარჩევა ცხოველებისთვის უფრო დახელოვნებულთა და შთამომავლობითი კანონი ერთ წამსაც არ სწყვეტენ თავის მუშაობას. ამ ნაირად ვითარდებოდნენ სხეულები და ამ განვითარე-

ბამ შექმნა ბოლოს ტიპი ადამიანისა. ასეთი თეორია (მის სამართლიანობისა და უსამართლობაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ) რაღაც დაუსრულებელი, დაუთავებელი გამოდის. ნიცშემ მიიღო შრომა დაეთაყვებინა იგი. თუ ადამიანი გადაშენებულ ჯიშთა გრძელ ჯაჭვით შეერთებულია მაიმუნთან, წარმოსდგა მისგან, ხოლო მაიმუნი კი სხვა დაბალ ორგანიზმებიდან, მაშ რაღად უნდა შეგჩერდეთ ადამიანზე თუ დღეს და ხვალ არა, ოდესმე მაინც უნდა წარმოსდგეს ისეთი არსება, რომელიც უფრო მოწყობილი იქნება არსებობისათვის საბრძოლოველად, უფრო განვითარებული იქნება, ვიდრე ეხლანდელი ადამიანი. კაცობრიობის ამ გზაზე გატარება, რომლის ბოლოსაც სჩანან გმირება, დევ-კაცები, ისეთი დიადი საქმეა, როგორც ჰეიქროს ნიცშე, რომ მისი გულისთვის არ ღირს კაცმა ყურადღება მიექციოს სარწმუნოებისა, ზნეობისა, სინდილისა და მოვალეობის მოთხოვნისა. რაც უფრო მეტი ბიწიერება ჩაიღინება, მით უფრო მეტი ძალა, მეტი ენერჯია გამოჩნდება, მით უფრო მალე მოივლინება „ზეგარდმო ადამიანი“. „გამაგრდით, — უანდერძებს ნიცშე თავის მოწაფეებს, — ნუ მისცემთ თავს შებრალებას და სიყვარულის, სრისეთ უძლურნი, თქვენ ასამაღლებელ საფეხურებად იხმარეთ მათი გვამები, თქვენ ხართ ძენი მაღალი ჯიშისა, თქვენი იდეალი ზეკაცია.

წ. ჩ—ძე.
(შემდეგი იქნება).



მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკუდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულისა და ტვინის“ გამო).

1) „1869 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში მე გავედი ჩემი სამშობლო სოფელ პერპინიანიდან მონპელიეში, რომ განმეგრძო სწავლა ფარმაცევტის ხარისხის მისაღებად. ჩვენ ოჯახობას ამ დროს შეადგენდა დედა და ოთ-

ხი და. ამავდროულად 22 რიცხვს ჩემმა ოცი წლის დამ ელენემ მოიწვია რამოდენიმე ამხანაგი ქ-ლები.

ასე სამი საათი იქნებოდა, როდესაც იგინი დედაჩემის თანხლებით წავიდნენ სასაიდროთ პლატანაში. მშვენიერი ამინდი იდგა. ძლივს ნახევარი საათი იქნებოდა გასული, რომ და რაღაც უძღვებოდ შეიქნა. „დედილო, უთხრა მან, შე რაღაც გლახათ ვგრძნობ ჩემს თავს, ტანი რაღაც მეჭინქვლება, მცივა და ყელი ძალიან მტკივა. დავბრუნდეთ შინ“.

თორმეტი საათის შემდეგ საყვარელი და უკვე გადამეცვალა დედის ხელზე. იგი მოახრჩო ხუნაგმა, რომლისაგან იგი ვერ იხსნეს დაუყოვნებლივ მოწვეულმა ექიმებმა. ჩემი ოჯახობა, რომლის წარმომადგენელი მამაკაცთაგან მხოლოდ მე ვიყავი, ტელეგრაფს ტელეგრაფზე მიგზავნიდა, რომელთაგან რაღაც მანქანური შემთხვევით ერთიც თავის დროზე არ მომსვლია. ხოლო 23 ღამით მე შევიქენი მსხვერპლი საშინელი „გალიუცინაციისა“ (მოჩვენებისა). ეს იყო სწორედ თვამეტი საათის შემდეგ ჩემი დის გარდაცვალებიდან. 22 და 23 რიცხვები მე გავატარე გასართობ მოგზაურობაში. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა მე შინ დავბრუნდი და ხუთი წამის შემდეგ უკვე მეძინა. დილის ოთხი საათი იქნებოდა, თვალწინ წარმომიდგა ჩემი და, რომელიც დაუბნობით მეძახდა: „რას შვრები ჩემო ლუი? მოდი რაღა, მოდი!“.. მე ვითომ კარეტაში ჩავჯექი და მიხდოდა მაშინვე წავსულიყავ, მაგრამ ვერაფერი ღონიძრებით ვერ დავსარი იგი აღვივლიდნენ. მთელ ამ ხნის განმავლობაში მე თვალწინ მედგა ჩემი საცოდავი და, მესმოდა მისი გულის შემზარავი ხმა: „რას შვრები ჩემო ლუი? მოდი რაღა, მოდი!“ მე უეცრად გამომეღვიძა, ოფლში გაღუღული; პირის სახე ცეცხლივით მენტებოდა, თავი მიხურდა, ყელი გამხმობოდა, სუნთქვა მქონდა მოკლე და მოჩქარებული. მე წამოვვარდი ლოგინიდან და მცდილობდი გონზე მოვსულიყავ... ერთი საათის შემდეგ მე ხელახლა დავწვევ, მაგრამ ძილი აღარ მომეკიდა.

დილის თერთმეტ საათზე რაღაც მწუხარებით დაზნედილი წავედი საუზმისთვის. ამხანაგებმა მიზეზი მკითხეს და მეც დაწვრილებით ვუამბე, რაც ვნახე; ამან გამოიწვია ის, რომ მათ სიცილი დამიწყეს. ორ საათზე მე უნივერსიტეტში წავედი და ვფიქრობდი საქმეში გართობას და დამშვიდებას, როცა ოთხ საათზე ლექციიდან დავბრუნდი, გზაზე დაეინახე შავით მოსილ ქალის სურათი, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. როცა ორი ნაბიჯის მანძილზე მან თავის შავი რიდე აიხადა, მე ვიცანი ჩემი უფროსი და, რომელიც მიუხედავად თავის მწუხრებისა. წამოსულიყო ამის გასაგებად, თუ რა დამეპართა მე.

მან მიამბო მე ის უბედურება, რომლის მოლოდინი მე სრულებით არ მქონდა, რადგან 22 წერილმა ფრიად სასიამოვნო ამბები მომიტანა.

ამ ამბავს გადმოვცემ და ჩემის სინილით ვამტკიცებ მის სინამდვილეს. მე არავითარ ახსნას არ ვიძლევი, არამედ ვადმოვცემ მხოლოდ ფაქტს, როგორც მოხდა იგი. Луи Ноэль. Аптекарь въ Сеттѣ.

ამ მოთხრობას თან მოჰყვა დასამტკიცებელი საბუთებიც.

ეს მოჩვენება თავის ხასიათით დაემსგავსება ციკერონის ზემომოყვანილ მოთხრობას.

—1857 წლის ენკენისთვეში მეექვსე დრაგუნის ინგლისის პოლკის კაპიტანი გ. ვ. წავიდა თავის პოლკში, რომელიც იდგა ინდიაში. მისი ცოლი დარჩა ინგლისში და ცხოვრობდა კემბრიჯში 1857 წ. 15 ნოემბერს დილით ადრე მან სიზმარში ნახა თავისი ქმარი ფერმიხდილი და წამებული სახით; მაშინვე გამოეღვიძა და სიზმრით აღშფოთებულმა გაალო თუ არა თვალი, დაინახა თავისი ქმარი, ლოგინის წინ მდგომარე; იგი მოეჩვენა მას მუნდირში ხელგულდაკრებილი; თმა დაპუწული ჰქონდა, პირისაზე მკრთალი, მისი შავი თვალები შეუპოვრად უყურებდა მას. იგი ძრიელ აღელვებულს ჰგავდა; პირი დაბრეცილი, რაც მას ჩვეულებად ჰქონდა, როცა მღელვარებდა. მან შეამჩნია მის ტანისამოსში ისეთი წვრილი-

მანები, რომლისთვისაც თავის დღეში ყურადღება არ მიუქცევია; მან გულზე თითებშუა პერანგიც შეამჩნია, რომელსაც სისხლი არ ეცხობო. ის იღვა მთელი სხეულით წინ გადმოხრილი, წამებულის შეხედულება ჰქონდა, ეუყობოდა, რომ ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ერთი ხმაც არ ამოუღია. ჩვენება გაგრძელდა ერთ წუთს და შემდეგ გაჰქრა.

პირველი ფიქრი ქალისა ის იყო, რომ დარწმუნებულიყო ნამდვილად გაიღვიძა, თუ ისევ ძილში და სიზმარშია. ამ მიზნით მან ამოიწმინდა თვალები და იგრძნო ეს მოკმედება. ლოგინზე მასთან ეძინა მის პატარა ძმისწულს; დაეხარა მძინარე ბავშს და დაუგდო ყური მის სუნთქვას. როცა ამის ფშვირვა გაიგონა, იგი დარწმუნდა, რომ ღვიძავს და ნახული ჩვენება იყო სიფხიზლეში და არა სიზმარში.

მეორე დღეს ეს ამბავი მან დედას გადასცა და თან დაუბატა რომ კაპიტანი ვანსასიკვდინეთაა დაქრილი და ან მკვდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტანისამოსი, რომელიც მან სავესებით გაარკვია, ვასიხლიანებული არ იყო. ამ ჩვენების სიცხადემ ისეთი გავლენა იქონია საცოდავ ქალზე, რომ ამ წამიდგან შესწყვიტა საზოგადოებაში გამოსვლა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთმა მეგობარმა ქალმა ბევრი ღრჩია მას წასულიყო თეატრში კონცერტის მოსასმენად და მოაგონა მას, რომ მას ქმრისგან მალტიდგან საგარეო მოსახურავი მოუვიდა, რომელიც ჯერ არ ჩაუცვამს. მაგრამ მან გადაქრილი უარი უთხრა და თან დასძინა, რომ სანამ არ შეიტყობს ქვრივია თუ არა და 14 ნოემბერს აქეთ ქმრისგან დაწერილ ბარათს არ მიიღებს, არსად გავა.

დეკემბერში ლონდონში ტელეგრაფმა ამბავი მოიტანა, რომ კაპიტანი ვ. 15 ნოემბერს მოიკლა ლუკნოვოში.

ამ ამბავზე, რომელიც მოთავსებული იყო ერთ ლონდონელ გაზეთში, მიიქცია იმ ვექილის ყურადღება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კაპიტანის მამულის საქმეები. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ვექილი შეხვდა ქვრივს, უკანასკნელმა უთხრა, რომ იგი სრული მო-

ზადებული იყო ამ სამწუხარო ამბისთვის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი მოიკლა 14-დგან 15-ს ნოემბერს, რადგან სწორედ ამ დამეს გამოეცხადა იგი მას და არა 15, როგორც მოხსენებულია ტელეგრაფში.

— კიდევ მეორე შემთხვევა, დამოწმებული პოლკოვნიკის ვიკვამის მიერ და გადმოცემული მისი მეუღლის მიერ შემდეგ სიტყვებში:

„ერთი ჩემი მეგობართაგანი, აფიცერი გაილენდსკის პოლკისა, მძიმედ დაიჭრა მუხლში ტელ-ელ-კებირის ომში. მე და დედა მისი მეგობრები ვიყავით და, როცა საავადმყოფო ხომალდი კარფაგენი მოვიდა მალტაში, მან მთხოვა მენახა მისი შვილი და მომეხდინა საჭირო განკარგულება ხმელეთზე გამოსაყვანად. როცა ხომალდზე ავედი, მე განმიცხადეს, რომ იგი ერთი მძიმედ დაქრილთაგანია, რომ შეუძლებლად მიაჩნიათ მისი დანძრევა და სამხედრო საავადმყოფოში გადაყვანა, და რომ იგი მეორე აფიცერთან დატოვილია ხომალდზე. დიდი ბოდიშის შემდეგ, ჩვენ ნება მოგვცეს გვევლო ავადმყოფთან და გვეზრუნა მისთვის. საცოდავი მეგობარი ისეთი დასუსტებული იყო, რომ ექიმები ვერ ბედავდნენ ოპერაციის გაკეთებას, რადგან ეშინოდათ დანას ქვეშ არ შემოკლდომოდათ. დაქრილი ფეხისრვილით (paraplegia) დაიფარა, მაგრამ როდგან ავადმყოფობა გაგრძელდა და ავადმყოფი ხან კარგათ იყო და ხან ცუდათ, ამიტომ ექიმებს იყენი ჰქონდათ, რომ იგი რამოდენიმეთ გამობრუნდებოდა, თუმცა სამუდამოდ დაკოქლდებოდა და ბოლოს განღვევისაკან გადიცლებოდა.

რადგანაც არავითარი იმედი არ იყო ავადმყოფობის მიმდინარეობის ჩქარა შეცვლისა, ამიტომ დედა ჩემმა 1886 წლის 4 იანვარს წამიყვანა შინ, რომ მოეცა ჩემთვის საშუალება, ერთი დამე მაინც თავისუფლად დამძინებოდა, რადგან უძლებად ვიყავი; რამოდენიმე საათი გავიდა, რომ ავადმყოფს ეძინა, და ექიმმა გვითხრა, რომ გა მორთუნის გავლენით დილაშდის მაინც იძინებსო. მე დავთანხმდი წავსულიყავ იმ განძრახებით, რომ დილით აღრე დაებრუნებულიყავ და ავადმყოფს გამოვღვიძე-

ბის დროს თავის ლოგინთან დახვედროდი.

„დილის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩემმა უფროსმა ვაჟიშვილმა, რომელსაც ჩემ ოთახში ეძინა, გააღვიძა ყვირილით: „უყურე, უყურე, დედა, ბ. მ. ბ.“ მე სწრაფად წამოვხტი და მართლაც დავინახე, რომ მ. ბ.-ს ფიგურა ირხეოდა ოთახის ჰაერში ერთი ჩარქვის სიმაღლეზე იატაკიდან — ჩვენება მომჩერებოდა და აღერსიანად იღიმებოდა და ამ ღიმილით მიეფარა ფანჯარაში; მაგრამ გასაკვირველი ის იყო, რომ ტკივანი ფეხი, რომლის ცერი სრსვილის გამო მოცილებული ჰქონდა, ამ ჩვენების დროს ისეთივე იყო, როგორც მეორე სალი ფეხი, მეც და ჩემმა შვილმაც ორივემ კარგად შევაშინეთ ეს. ნახევარი საათის შემდეგ ამბავი მოგვივიდა, რომ მ. ბ. სამ საათზე გადაცვლილიყო. დედამისმა გადმოძეა, რომ სიკვდილის წინ იგი ნახევრად უგრძობელ მდგომარეობაში იყო.“

აი ფაქტები, დასძენს ფლამარიონი, ჩვენ შეგვეძლო გაგვედიდებია მათი რიტხვი, მაგრამ ამისთვის დაგვჭირდებოდა ამ ეტიუდის გაფართოება და, ამას გარდა, ასი მოყვანილი ფაქტების მსგავსი ფაქტი ვერაფერს მოგვმატებდა. კითხვა იმაშია, მისაღებია თუ არა ასეთი ფაქტები? მაგრამ როგორ არ მივლოთ იგინი? ექვი შევიტანოთ მოთხრობლების კეთილსინდისიერებაში და იმართლის მოყვარეობაში? ჩვენ არა გვაქვს ამის უფლება, თუ მივიღებთ მხედველობაში მათ სრულ უძრაველობას და გამოძიებას, რომელიც მოახდინეს ამ ფაქტების შესახებ და რომელმაც დაამტკიცა სინამდვილე ამ მოთხრობებისა. ყველა ეს ფაქტები რომ შემთხვევით დამთხვევას მივაწეროთ, ეს არც კეუში მოსასვლელია და ვერც დაგვაკმაყოფილებს: ერთობ ბევრია ასეთი ფაქტები. არიან მართლაც, გასაკვირვალნი დამთხვევები, მაგრამ ყველა იმას რომ მივაწეროთ ამით საკითხი არ გადაწყდება. ჩვენ გვკონია, რომ უფრო გონიერული და მეცნიერული იქნება, რომ ანგარიში გავუწიოთ მათ და არა უარვყოთ იგინი.

მათი ახსნა უფრო ძნელია. როგორც თავ მივე მოგახსენეთ, ჩვენი გრძნობები ნაკლუ-

ლეანი და მატყუარნი არიან და, შესაძლებელია, მათი მეოხებით სრულიად ვერ მივხედეთ, — ვერ შევიტყოთ სინამდვილე, ხოლო ამ სფერაში უმეტეს, ვიდრე სხვაში. რაც ჩვენ ჯერჯერობით შეგვიძლია ვიფიქროთ განსჯილ ფაქტების შედარების გამო, ის არის, რომ მომაკვდავი ან უკვე მიცვალებული უთუოდ კი არ გადადის მზე, ვინც ნახულობს მას (თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ სხეულზე კი არა, არამედ სულზე და ფსიხიკურ დასაბამზე). ანამედ ეს არას მანძილზე ერთი სულას მეორე სულზე მოქმედება. შესაძლებელია მივილოთ, რომ თითოეული ჩვენი აზრი იწვევს ტენის ატომიურ მოძრაობას. ჩვენი სულიერი ძალა შობს ჰაერის მოძრაობას, რომელიც როგორც სხვა ჰაერის მოძრაობა, გადაეცემა შორს და შეიქმნება საგრძნობელი მეგობარ სულისათვის. სულიერი მოქმედების ჰაერის მოძრაობად გარდაქმნა შესაძლებელია იმას ჰგავს, რასაც ტელეფონში ვამჩნევთ, სადაც ერთნაირი მიძღები და გარდამცემი პლასტინკები, იძლევიან ხმის მოძრაობას. ერთი სულის მოქმედება მეორეზე ხდება სხვა და სხვა ნაირად, ხანდისხან მთელი არსებას გამოცხადებით, ხან ნაცნობი ხმის გაგონებით. ერთი სული მოქმედებს მეორეზე ისე, როგორც შეგონება მანძილზე.

მანძილზე ერთი სულის მეორეზე მოქმედება ისეთ შესანიშნავ შემთხვევებში, როგორიც არის სიკვდილი, და უმეტეს სიკვდილი უეცარი, იგივეა, რაც მოქმედება მაგნიტისა რკინაზე, მიწისავე მთვარის მოზიდვა, ელექტრონით ადამიანის ლაპარაკის გადაცემა, ვარსკვლავის ქიმიური თვისების გამოჩენა მისი სინათლის განხილვით და საზოგადოდ თანამედროვე მეცნიერების ყველა საკვირველება და არც მათზე უფრო გასაკვირვალა. მხოლოდ ის უფრო მაღალი წრისაა და შეუძლია დაგვაყენოს ადამიანის არსების სულიერ ცხოვრების შესწავლის კვალზე.

მომაკვდავის გამოცხადების ახსნა, რასაკვირველია, სხვანაირი იქნება, ვიდრე მანძილზე. მაგრამ ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით. მამს ნუ უარვყოფთ. თვალის ვადევნოთ,

ვიძიოთ და ვიკვლიოთ, არაიენ უარს არ იტყვის, რომ ჩვენ ყველაზე უფრო მეტად გვიანტერესებს ქვეყნიერობის შენობა... აღვიარებთ ამას... თავის თავად. „იკან თავი შენი!“ სიტყვა სოგრატმა. რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში ათასი რამ ცოდნა შევიძინეთ, იმას გარდა რაც ჩვენ მეტად გვიანტერესებს. მე ვფიქრობ, რომ დღეს აღმიანის გონება მიდრეკილია სოგრატის მცნების აღსასრულებლად და თავის თავის შესასწავლად“. („Республика“ 1897 ივ. № 6).

აქ ფლამარიონი თავისებურ მატერიალისტურ ახსნას იძლევა, რომელიც რა თქმა უნდა არავის დააკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენ არ ვაქცევთ ამაზე მკითხველის ყურადღებას. ჩვენ იმაზე უფრო ვაძრწობთ მას და განსაკუთრებით გომართელს, რომ ასეთი ძალა, როგორც ფლამარიონია, გულწრფელად აღიარებს იმ ფაქტების სინამდვილეს, რომლებსაც გომართელი და მისი ამხანაგობა ზღაპარს და ოცნების ნაწარმოებს ეძახიან. ესლა მოვიყვანოთ სხვა ფილოსოფოსთა და მეცნიერთა აზრი ამ საგანზე.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

(პასუხის-პასუხი ბ. „შენი სული პუჩიას“).

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გამოცემაში.

ბატონო პუჩია! წავიკითხე თქვენი გვერდ ახვეული პასუხი, რომლითაც მიპრძანებთ თქვენ მიერ შეთხზულ ხუთი ფაქტის წინააღმდეგის დამტკიცებას. მაგრამ, მგონი, თქვენი ვალია ის ფაქტები თქვენვე დამიმტკიცოთ, რასთვისაც გამოგიწვიეს საამხანაგო სამართალში. უკანასკნელად გთხოვთ აიხადოთ ნილაბი და საქვეყნოდ დამიმტკიცოთ ძველნი და ახალ-

ნი ბრალდებანი. სირცხვილია, კაცი სინათლეზე გიწვევდეს და შენ კი ბალონჯოსავეთ კედელში იმალებოდე და იჭიდგან უშვებდე სიმყრალეს! რომელი გამოცემა დაკანონდება დაუსრულებელი კითხვა პასუხი გაემართოთ ერთმანეთში? ვის დააინტერესებს ჩვენი პოლემიკა?? კანმეორებითგთხოვ, ნუ იმ.ლები. „ეშმაკის მათრახსაც“ ვსთხოვ, თუ შეუძლია, ნუ გადიქცევა მთლად ცილისწამებათ. თუ თქვენ არ გნებავსთ, ბ. პუჩია, ნილაბის ახლა და სამედიატორო სამართალში გამოცემა, სჩანს ბ. ეშმაკის მათრახის რედაქტორი მწამებს ცილს და იძულებული ვარ, შენ მაგიერ იგი გამოვითხოვო სამედიატორო სამართალში და თუ არ გამოიმყვა საზოგადო სამსჯავროში განცხადო საჩივარი ცილის წამებისათვის.

ამიტომ ამით წინადაუდებ ბ. „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორს: ან აჯხადოს ნილაბი და საქვეყნოდ დაგამტკიცებოს შენი მარგალიტი სიტყვები და ან თითონ გამოპრძანდეს საამხანაგო სამართალში. ვიძლევი ორი კვირის ვადას, რომლის შემდეგ კანონი ამებრ მოვიქცევი.

მლ. რაუდენ სანებლიძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქნე. მკედლიძის სახლ ებში (საბურთალო — კახაკოვის — შეი ახვევი № 17) გაიხ ნა კერძო ო — ხელასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებლისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც.